

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ კანონპროექტის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ განხილვაში.

აკად. თ.გამყრელიძე 2007 წელს წარმოადგენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებზე:

1. აშშ-ის ეროვნული აკადემიის ყოველწლიური შეხვედრა (25 აპრილი – 3 მაისი, ვაშინგტონი, აშშ);

2. ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის სხდომა (21-25 მაისი, ვენა, ავსტრია);

3. სუამის ქვეყნების კულტურის, მეცნიერების, განათლების, ახალგაზრდობის, სპორტის, აგრეთვე ტურიზმის საკითხების სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა შეხვედრა (17-20 ივნისი, ბაქო, აზერბაიჯანი);

4. ევროპის აკადემიების ფედერაციის მე-19 საერთაშორისო ყოველწლიური კონფერენცია (1-6 სექტემბერი, ტოლედო, ესპანეთი);

5. შავი ზღვის აუზის ქვეყნების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების პრეზიდენტების საბჭოს შეხვედრა (4-6 ოქტომბერი, ანკარა, თურქეთი);

6. იუნესკოს გენერალური კონფერენციის 34-ე სესია (19-26 ოქტომბერი, პარიზი, საფრანგეთი);

7. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება (17-21 დეკემბერი, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია).

23 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკად. თ.გამყრელიძემ მიიღო აკად. ი.ვეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე ჩამოსული უცხოელი მეცნიერები.

იმავე დღეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ.

დიდი ქართველი მათემატიკოსი
(აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების
100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე
წარმოთქმული სიტყვა)

აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომლის დაბადების 100 წლისთავი ასე საზეიმოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში, იმ გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერების, თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგულების ნათელი მაგალითია და, თუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ქართული მათემატიკური სკოლა საქვეყნოდ არიან აღიარებული, ამაში უდიდესი წვლილი სწორედ აკადემიკოს ილია ვეკუას ეკუთვნის.

ილია ვეკუა განეკუთვნება გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსთა იმ პლეადას, რომლის სათავეში წლების მანძილზე დიდი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი იდგა. სწორედ ნიკო მუსხელიშვილის მოწაფედ თვლიდა თავს ილია ვეკუა, რომელმაც ნიკო მუსხელიშვილი შეცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მუსხელიშვილი-ვეკუას მათემატიკურ სკოლას საერთაშორისო მათემატიკური მეცნიერებისათვის, ამას ხატოვნად გვაუწყებს სტატია, რომელიც ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ექს-პრეზიდენტმა პროფესორმა ჰერბერტ მანგმა ჩვენი აკა-

დემიის – ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის – „მოამბეში“ გამოაქვეყნა სათაურით "In principio erat Muskhelishvili" – „დასაწყისში იყო მუსხელიშვილი“. ყველასათვის ნათელია მინიშნება იოანეს სახარების საწყის ფრაზაზე: „პირველითგან (ანუ დასაწყისში) იყო სიტყვაი და სიტყვაი იგი იყო ღმერთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვაი იგი“.

ამით გამოიხატა ის უდიდესი მოწიწება, რომელსაც გამოჩენილი ავსტრიელი მეცნიერი, ამერიკის ნაციონალური აკადემიის წევრი, ქართული მათემატიკური სკოლის მიმართ განიცდის და რომლისგანაც იგი თავს დავალებულად თვლის. პროფესორი ჰერბერტ მანგი სპეციალურად ჩამოვიდა აკადემიკოს ილია ვეკუას იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად და ესწრება დღევანდელ ჩვენს საზეიმო სხდომას.

ქართველი მათემატიკოსების, მთელი ქართული მეცნიერების წმინდა მოვალეობაა შევინარჩუნოთ და შეძლებისდაგვარად კიდევ უფრო ავამაღლოთ სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის საყოველთაოდ აღიარებული დონე და შევიტანოთ ჩვენი წვლილი საერთაშორისო მეცნიერების განვითარებაში, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს, რომელთა სახელები უკვდავია ქართული და მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, უკვდავია ქართველი ხალხის მეხსიერებაში საზოგადოდ.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ამ კოჰორტას განეკუთვნებოდა სწორედ აკადემიკოსი ილია ვეკუა. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის შესანიშნავ მეცნიერს, მეცნიერების დიდ ორგანიზატორს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, გულისხმიერ, კეთილმოსურნე და ჭეშმარიტ მოქალაქესა და პატრიოტს – ბატონ ილია ვეკუას.

2007 წლის მაისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოეწყო შეხვედრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან ამერიკის „მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის“ უცხოელ წევრად მისი არჩევის გამო.

2007 წლის ივნისში უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა სილვესტერ ვიზიმ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს აცნობა, რომ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის 177-ე გენერალურ ასამბლეაზე იგი არჩეულ იქნა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

2007 წლის სექტემბერში აკად. თ.გამყრელიძე შეხვდა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სრულ წევრს აკადემიკოს ილგა იანსონს. გაიმართა მოლაპარაკება აკადემიებს შორის ხელშეკრულების დადებაზე.

2007 წლის დეკემბერში ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (World Academy of Art and Science – WAAS, აშშ) ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

აკადემიკოსი თ.გამყრელიძე ხელმძღვანელობს აკად. *გ.წერეთლის* სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამომცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტს.

2007 წელს განხორციელდა კომიტეტის ძირეული რეორგანიზაცია, დამტკიცდა კომიტეტის სტრუქტურა და საშტატო განრიგი.

კომიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შედეგებიდან აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო ჯგუფის მიერ მომზადებული აკადემიური ტექსტისა და მცირე განმარტებითი ლექსიკონის მინიატურული სასაჩუქრო სახით დასტამბვა (გამომცემლობა „ცოდნა“) და კომისი-

ის წევრის პ.მარგველაშვილის ნაშრომის „რუსთაველის მსოფლმხედველობის“ გამოცემა (გამომცემლობა „ნეკერი“). „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის სარედაქციო ჯგუფმა დაასრულა პოემის ვრცელი განმარტებითი ლექსიკონის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც უნდა დაერთოს პოემის ახალი, დაზუსტებული რედაქციის გამოცემას.

კომიტეტმა სრულიად ახლებურად ჩამოაყალიბა ქართული ენის თესაურუსის პრობლემა, რაც განაპირობა პრობლემის გადაჭრისათვის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების მოზიდვის აუცილებლობამ. შემუშავდა ამოცანის გადაჭრის გრძელვადიანი პროგრამა და დაიწყო მისი რეალიზაციისათვის აუცილებელი სამუშაოები – შეგროვდა ქართული წერილობითი ძეგლების ელექტრონული ვერსიები და დასრულდა მათი გადაყვანა საბარათო ფორმატში.